



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-120/ნ

26 ნოემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

„დროებითი შრომისუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის
გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის N281/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„დროებითი შრომისუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის
გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის N281/ნ ბრძანებაში (სსმ, №137, 01/10/2007,
470.230.000.22.035.010.854) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებულ №1
დანართის (დროებითი შრომისუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო
ფურცლის გაცემის წესი):

1. 8¹ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8² მუხლი:

**„მუხლი 8². საავადმყოფო ფურცლის/ცნობის გაცემა ახალი კორონა ვირუსის (COVID-19)
დროს**

1. კოვიდინფიცირებულ პაციენტებზე, რომლებმაც გაიარეს მკურნალობის კურსი სტაციონარში,
მაგრამ შრომისუნარობა ან/და იზოლაცია გრძელდება და ესაჭიროებათ ამბულატორიული
მეთვალყურეობა:

ა) ბინაზე მკურნალობის/იზოლაციის შემთხვევაში სტაციონარის მიერ გაცემული ღია
საავადმყოფო ფურცელი გრძელდება ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი
პირობებისა და ვადების გათვალისწინებით ამბულატორიული მეთვალყურეობის

განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის ონლაინ-მეთვალყურეობის რეჟიმში;

ბ) კოვიდსასტუმროში მკურნალობის/იზოლაციის შემთხვევაში სტაციონარის მიერ საავადმყოფო ფურცლის გრაფაში - „შეუდგეს მუშაობას“ – იწერება „გადადის კოვიდ-სასტუმროში“ და დასტურდება ბეჭდით. კოვიდ-სასტუმროში მკურნალობის/იზოლაციის პერიოდზე, მოთხოვნის შემთხვევაში, გაიცემა ამ წესის 8¹ მუხლით განსაზღვრული ცნობა.

2. პირებზე, რომლებსაც ლაბორატორიულად დაუდასტურდათ კოვიდ-ინფექცია ან გამოხატული აქვთ კოვიდ-ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები და მკურნალობის კურსს გადიან ამბულატორიულად:

ა) ბინაზე იზოლაციის პირობებში, გაიცემა საავადმყოფო ფურცელი ამბულატორიული მეთვალყურეობის განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულების (გარდა „ცენტრალური ონლაინ კლინიკისა“) პაციენტის ონლაინ-მეთვალყურეობის რეჟიმში;

ბ) კოვიდსასტუმროში მკურნალობის/იზოლაციის პირობებში, მოთხოვნის შემთხვევაში, გაიცემა ამ წესის 8¹ მუხლით განსაზღვრული ცნობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცნობის გაცემის საფუძველს წარმოადგენს კარანტინის/იზოლაციის მართვის ელექტრონული სისტემაში (registration.gov.ge) დაფიქსირებული მონაცემები.

4. სამინისტრო უფლებამოსილია, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს ამ წესის 8¹ მუხლით განსაზღვრული ცნობა პირებზე, რომლებმაც ისარგებლეს „ცენტრალური ონლაინ კლინიკის“ მომსახურებით.“.

2. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საავადმყოფო ფურცლის დახურვისას, გრაფაში - „შეუდგეს მუშაობას“ - რიცხვი და თვე იწერება სიტყვიერად, ხოლო საავადმყოფო ფურცლის გაგრძელების შემთხვევაში ამავე გრაფაში ჩაიწერება - „შრომისუუნარობა გრძელდება“ და ახლად გაცემული საავადმყოფო ფურცლის ნომერი და სერია (გარდა ამ წესის 8² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);“.

3. III თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის IV თავი:

„IV თავი

გარდამავალი დებულებები

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

8² მუხლის მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 19 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე